

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის

ბრძანება №262
2013 წლის 27 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საჰაერო კოდექსის 56-ე მუხლის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „ტრანსპორტის სფეროში ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 9 ივნისის №1-1/883 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 30 ოქტომბრის №1-1/307 ბრძანების საფუძველზე, **ვბრძანებ**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი“ №1-17 დანართებთან ერთად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 13 ოქტომბრის №131 ბრძანება „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის“ დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის
სააგენტოს დირექტორი

გურამ ჯალაღონია

საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესი

თავი I

ზოგადი დებულებები, ტერმინები და განმარტებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირების წესის“ (შემდგომ – წესი) მოქმედება ვრცელდება საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოზე (შემდგომ – საწარმო), მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა, რომელიც ახორციელებს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების და/ან ამ სამოქალაქო საჰაერო ხომალდების კომპონენტების ტექნიკურ მომსახურებას.

1¹. ამ წესის მოქმედება არ ვრცელდება მიწისზედა მომსახურების სახეობებზე.

2. წესის მიზანია საქართველოს სამოქალაქო ავიაციის დარგში საავიაციო ტექნიკის ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება, საავიაციო ტექნიკის მომხმარებელთა ინტერესების დაცვა.

3. საწარმოს, რომელსაც არ გააჩნია საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატი (შემდგომ – სერტიფიკატი) ან რომელიც არ არის აღიარებული ამ წესის მე-11 მუხლის შესაბამისად, არა აქვს უფლება განახორციელოს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების და/ან ამ საჰაერო ხომალდების კომპონენტების ტექნიკური მომსახურება.

4. საწარმოს სერტიფიცირებას – სერტიფიკატის გაცემას, გაცემაზე უარის თქმას, შეჩერებას, განახლებას,



სერტიფიკატის გაუქმებას, სერტიფიკატში და/ან მის დანართში ცვლილებების შეტანას, სერტიფიკატის და/ან მისი დანართის დუბლიკატის გაცემას, სერტიფიკატის მფლობელის საქმიანობაზე ზედამხედველობას, ამ წესის შესაბამისად, ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (შემდგომ – სააგენტო).

5. იმ პირობების შეცვლისას, რომელთა მიხედვით საწარმოზე გაცემული იყო სერტიფიკატი, საწარმო ვალდებულია, ახალი პირობებით საწარმოს ექსპლუატაციამდე, სააგენტოში წარადგინოს ამ წესის დანართი №1-ით გათვალისწინებული განცხადება, სერტიფიკატში და/ან მის დანართში საჭირო ცვლილების შეტანის თაობაზე. განცხადების განხილვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება ხორციელდება ამ წესის მე-7 მუხლის შესაბამისად.

6. სააგენტოს მიერ სერტიფიკატის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.

7. ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ სერტიფიცირების საკითხებთან (სერტიფიკატის მფლობელის საქმიანობაზე ზედამხედველობის გარდა) დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავით განსაზღვრული მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. სერტიფიკატის მფლობელის საქმიანობაზე ზედამხედველობა ხორციელდება ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

8. ექსპლუატაციის პროცესში, საწარმოს ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ზედამხედველობას ახორციელებენ „სამოქალაქო საავიაციო საქმიანობის ინსპექტირების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 31 აგვისტოს №166 ბრძანების შესაბამისად, სააგენტოს საინსპექტორო უფლებამოსილებით აღჭურვილი წარმომადგენლები, რომლის დროსაც დგინდება საწარმოს მიერ, საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების განხორციელების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან.

9. სერტიფიკატი ადასტურებს მისი მფლობელი საწარმოს შესაბამისობას ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან.

10. საწარმოს სერტიფიცირება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად, რომლის დროსაც განისაზღვრება საწარმოს შესაძლებლობა საჰაერო ხომალდების (შემდგომ – სხ) კონკრეტული ტიპებისა და/ან მათი კომპონენტების ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებით. სერტიფიცირების დროს განისაზღვრება ასევე ნებადართული ტექნიკური მომსახურების სამუშაოების სახეობები.

11. თუ საწარმოს გააჩნია ტექნიკური მომსახურების (შემდგომ – ტმ) სადგური და/ან ტმ-ის გარე სადგური, მაშინ საწარმოს სერტიფიცირება ხორციელდება ამ სადგურთან/გარე სადგურთან ერთად.

12. საწარმოს შეიძლება მიეცეს უფლება შეასრულოს ტმ:

ა) სხ-ის და მისი კომპონენტებისა, ერთობლივად; ან

ბ) მხოლოდ სხ-ისა; ან

გ) მხოლოდ სხ-ის კომპონენტებისა.

13. საავიაციო ტექნიკის ტმ-ის ჩატარების შემდეგ მისი ფრენის ვარგისობის დადასტურების უფლება აქვს მხოლოდ ამ ტმ-ის ჩამტარებელ, ამ წესის შესაბამისად სერტიფიცირებულ/აღიარებულ საწარმოს.

14. საწარმოს მიერ საავიაციო ტექნიკის კონკრეტული ტიპებისა და/ან მათი კომპონენტების ტმ-სთან დაკავშირებული ნებადართული სამუშაოების სახეობები, განისაზღვრება (დასტურდება) სერტიფიკატით (ამ წესის დანართი №12) და მისი დანართით (ამ წესის დანართი №13). სერტიფიკატი და მისი დანართი ივსება ქართულ და ინგლისურ ენებზე. საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატის დანართით განსაზღვრული კატეგორიების განმარტებანი განსაზღვრულია ამ წესის დანართი №14-ით.



მუხლი 2. ტერმინები და განმარტებები

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს და ცნებებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) რემონტი – საჰაერო ხომალდის (პლანერი, ძრავი და სხვა) ცვეთის ან დაზიანების შემდგომ საფრენად ვარგისობის აღდგენა, საფრენად ვარგისობის დადგენილი ნორმების შესაბამისად;

ბ) საავიაციო ტექნიკა – საჰაერო ხომალდი და მისი კომპონენტები (აღჭურვილობა, მაკომპლექტებული ნაწილები, აგრეგატები და სისტემები, ძრავები, აგრეთვე საწაფი, საჰაერო ხომალდის ფრენისა და/ან სახმელეთო მომსახურების საშუალებები);

გ) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმო – „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი მეწარმე სუბიექტი, რომელიც სერტიფიცირებულია ან აღიარებულია ამ წესის შესაბამისად;

დ) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საშუალებები – აღჭურვილობა, სტენდები, საკონტროლო-შესამოწმებელი და საკონტროლო-გამზომი აპარატურა, სამარჯვები;

ე) საჰაერო ხომალდი – ნებისმიერი აპარატი, რომელიც ატმოსფეროში მდებარეობს ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად ინარჩუნებს, დედამიწის ზედაპირიდან არეკლილ ჰაერთან ურთიერთქმედების გამოკლებით;

ვ) ტექნიკური მომსახურება – სხ-ის და/ან მისი კომპონენტების საფრენად ვარგისობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად ცალ-ცალკე ან ერთობლივად ისეთი სამუშაოების ჩატარება, რომელიც მოიცავს აღმდგენ, შემოწმებით, გაუმართაობების აღმოფხვრის სამუშაოებს, ასევე მოდიფიცირებას და/ან რემონტის პრაქტიკულ განხორციელებას;

ზ) ტექნიკური მომსახურების გარე სადგური – საწარმოს ფილიალი, რომელიც მდებარეობს საქართველოს ტერიტორიის გარეთ;

თ) ტექნიკური მომსახურების სადგური – საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოს ფილიალი, რომელიც მდებარეობს ამ საწარმოს ძირითადი ბაზირების (როგორც წესი – აეროდრომის) ადგილის გარეთ.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს და ცნებებს გააჩნიათ საქართველოს საჰაერო კოდექსით და „ტექნიკური რეგლამენტის „სავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 ბრძანებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

თავი II

სავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიცირება

მუხლი 3. საწარმოს სერტიფიცირების ეტაპები

1. საწარმოს სერტიფიცირების ეტაპებია:

ა) I ეტაპი – წინასასერტიფიკაციო პროცედურა, რომელიც მოიცავს:

ა.ა) სერტიფიკატის მისაღები განცხადების (შემდგომ – განცხადება) და თანდართული საბუთების წარდგენას სააგენტოში;

ა.ბ) განცხადების და თანდართული საბუთების სააგენტოში განხილვას;

ბ) II ეტაპი – განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება;



გ) III ეტაპი – სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) IV ეტაპი – ზედამხედველობა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის, „ა.ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდნენ სააგენტოს ის თანამშრომლები, რომლებიც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამოსილნი არ არიან განახორციელონ ადმინისტრაციული წარმოება.

მუხლი 4. განცხადებისა და თანდართული საბუთების წარდგენა სააგენტოში, მათი განხილვა

1. განმცხადებელი, სერტიფიკატის მისაღებად, სააგენტოში წარადგენს განცხადებას, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს და შეესაბამებოდეს ამ წესის დანართი №1-ით დადგენილ ფორმას. განცხადებას ხელს აწერს განმცხადებლის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი. ამ პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა ვრცელდება აგრეთვე საწარმოს მიერ სააგენტოში წარდგენილ განცხადებაზე სერტიფიკატის განახლებასთან, დუბლიკატის გაცემასთან, აგრეთვე, სერტიფიკატში და/ან მის დანართში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

2. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;

ბ) საწარმოს და სადგურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სტრუქტურული სქემა. იმ შემთხვევაში, თუ საავიაციო ტექნიკის ტმ-ს ახორციელებს საწარმოს სტრუქტურული ერთეული (შემდგომ – სტრუქტურული ერთეული), მაშინ საწარმოს ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული, ამ სტრუქტურული ერთეულის სტრუქტურული სქემაც და დებულებაც;

გ) საწარმოს მიერ განხორციელებადი საავიაციო ტექნიკის ტმ-ის სახეობები და დასაშვებ სამუშაოთა ნუსხა (ამ წესის დანართი №2-ის შესაბამისად);

დ) საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ხელმძღვანელი პერსონალის მონაცემები (ამ წესის დანართი №3-ის შესაბამისად);

ე) ტმ-ის განმახორციელებელი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის (ამ წესის დანართი №5-ის შესაბამისად), აგრეთვე ამ პერსონალით საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) დაკომპლექტების მონაცემები (ამ წესის დანართი №4-ის შესაბამისად), რაც უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 დადგენილების და „ავიასპეციალისტთა სერტიფიცირების წესების დამტკიცების შესახებ“ სსიპ _ სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს 2012 წლის 30 აგვისტოს №150 ბრძანების მოთხოვნებს;

ვ) საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) საწარმოო ბაზის საერთო მონაცემები (ამ წესის დანართი №6-ის შესაბამისად), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 დადგენილების და ICAO-ს ოფიციალური დოკუმენტის – DOC 9760/AN967 („საფრენად ვარგისობის სახელმძღვანელო“) მოთხოვნებს;

ზ) სახელმძღვანელო დოკუმენტების ჩამონათვალი (ამ წესის დანართი №8-ის შესაბამისად);

თ) საავიაციო ტექნიკის დამამზადებლის და/ან შემმუშავებლის მიერ გამოცემული ტმ-ის რეგლამენტების (პროგრამების) ნუსხა, საავიაციო ტექნიკის ტიპების მიხედვით (ამ წესის დანართი №9-ის შესაბამისად);

ი) საბუთი, რომელშიც ასახული უნდა იყოს საავიაციო ტექნიკის ტმ-ის ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვის უზრუნველყოფა (ამ წესის დანართი №10-ის შესაბამისად);



კ) საავიაციო ტექნიკის ტმ-სთვის გამოყენებული ტექნიკური მომსახურების საშუალებების ჩამონათვალი (ამ წესის დანართი №11-ის შესაბამისად), რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 დადგენილების მოთხოვნებს;

ლ) საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ICAO-ს ოფიციალური დოკუმენტის – DOC 9760/AN967 („საფრენად ვარგისობის სახელმძღვანელო“) და „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 დადგენილების მოთხოვნებს;

მ) საბუთი, რომელშიც ასახული უნდა იყოს ტექნიკური მომსახურების ჩატარების შესახებ ინფორმაციის მონაცემების ჩაწერის, შენახვის, სიზუსტის, სისრულის, აგრეთვე, ინფორმაციის შენახვის ვადების დაცვის უზრუნველყოფის სისტემა;

ნ) საწარმოს ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ წესის მე-16 მუხლის მოთხოვნებს.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ-მ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული რომელიმე საბუთის მონაცემები შეტანილია/ასახულია საწარმოს ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში, მისი წარმოდგენა ცალკე საბუთის სახით არ არის სავალდებულო.

4. განცხადების, თანდართული საბუთების და შემცველი ინფორმაციის ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობას ადგენს სააგენტო.

5. განცხადების, თანდართული საბუთების და შემცველი ინფორმაციის ამ წესითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან:

ა) შეუსაბამობის (არასრულად, არაზუსტად) შემთხვევაში სააგენტო განმცხადებელს წერილობით მიუთითებს კონკრეტულ ნაკლოვანებებზე და კანონმდებლობით დადგენილი წესით განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა გამოასწოროს ნაკლოვანებები და წარმოადგინოს მათი გამოსწორების წერილობითი სათანადო საბუთი ან ინფორმაცია;

ბ) შესაბამისობის შემთხვევაში მიიღება სერტიფიცირების II ეტაპზე გადასვლის შესახებ გადაწყვეტილება და დგება საწარმოს „ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმების პროგრამა“ (შემდგომში – პროგრამა). პროგრამას (დანართი №16) ამტკიცებს სააგენტოს შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, რომელიც წარედგინება განმცხადებელს, პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შემოწმების ადგილისა და ვადების მითითებით.

6. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული, ტმ-ის სახეობებისა და დასაშვებ სამუშაოთა ნუსხის გათვალისწინებით, პროგრამაში დასაშვებია ცვლილებების შეტანა.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 04.03.2020წ.

მუხლი 5. განმცხადებლის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება (II ეტაპი)

1. ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების ან ამ წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ნაკლოვანებების გამოსწორების წერილობითი სათანადო საბუთის/ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში სააგენტო სამუშაო ადგილზე ამოწმებს განმცხადებლის ფაქტობრივ მდგომარეობას.

2. სააგენტოს მიერ პროგრამის შესაბამისად განხორციელებული შემოწმების მასალები აისახება აქტში, რომელიც შეიცავს აგრეთვე დასკვნას, რომელიც შეიძლება იყოს:

ა) დადებითი, თუ განმცხადებლის ფაქტობრივი მდგომარეობა აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს. დადებითი შეფასებისას დასაშვებია:

ა.ა) უმნიშვნელო ხარვეზის არსებობა, რომელთა გამოსასწორებლად განმცხადებელს ეძლევა ვადა იმის გათვალისწინებით, რომ ეს ხარვეზი უშუალოდ უარყოფითად არ მოქმედებს ტექნიკურ მომსახურებაზე



და ფრენის უსაფრთხოებაზე;

ა.ბ) ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვების დაწესება;

ბ) უარყოფითი, თუ განმცხადებლის ფაქტობრივი მდგომარეობა არ აკმაყოფილებს ამ წესის მოთხოვნებს.

3. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში აქტში დეტალურად აისახება ყველა ის ნაკლოვანება, რომელთა საფუძველზეც უარყოფითი დასკვნა იქნა მიღებული.

4. უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში სააგენტო წერილობით აცხადებს განმცხადებელს კონკრეტულ ნაკლოვანებებზე და განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა გამოასწოროს ნაკლოვანებები და წარმოადგინოს ნაკლოვანებების გამოსწორების წერილობითი სათანადო საბუთი ან ინფორმაცია.

5. სააგენტო, ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმცხადებლის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე, ამოწმებს ნაკლოვანებების გამოსწორების ფაქტობრივ მდგომარეობას.

6. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამის შესაბამისად განსახორციელებელი შემოწმება უნდა ჩატარდეს საქართველოს ტერიტორიის გარეთ (ტექნიკური მომსახურების გარე სადგურის შემოწმების ან სხვა შემთხვევაში), განმცხადებელი, საქართველოს საჰაერო კოდექსის მე-60 მუხლის შესაბამისად, ვალდებულია აანაზღაუროს სააგენტოს სპეციალისტების სამივლინებო ხარჯები.

7. პროგრამის შესაბამისად განხორციელებული შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, სააგენტო:

ა) უფლებამოსილია შეზღუდოს განმცხადებლის განცხადებაში აღნიშნული განხორციელებადი ტმ-ის სახეობების და/ან დასაშვებ სამუშაოთა ნუსხა, თუ საწარმოს ფაქტობრივი მდგომარეობა სრულად ვერ უზრუნველყოფს ტმ-ის სახეობებისა და/ან დასაშვებ სამუშაოთა ნუსხით გათვალისწინებული სამუშაოების მთლიანად განხორციელებას, რაც აისახება:

ა.ა) ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად შედგენილ აქტში;

ა.ბ) სააგენტოს მიერ ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად მიღებულ გადაწყვეტილებაში;

ა.გ) სააგენტოს მიერ გაცემულ სერტიფიკატში და/ან მის დანართში.

ბ) საზღვრავს საწარმოს პირველი გეგმური შემოწმების ვადას.

8. პროგრამა წარმოადგენს ამ მუხლით გათვალისწინებული აქტების განუყოფელ ნაწილს.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 04.03.2020წ.

მუხლი 6. სერტიფიკატის გაცემაზე ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღება. სერტიფიკატის მოქმედების ვადა

1. სააგენტო, ამ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით ან ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული დადებითი დასკვნის გამოტანიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში გასცემს სერტიფიკატს და მის დანართს.

2. სერტიფიკატის მოქმედებას ვადაა 1 (ერთი) წელი.

3. სააგენტო, სერტიფიკატით და მისი დანართით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობას ამოწმებს ამ წესის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, აგრეთვე, ამ წესის მე-12 მუხლით დადგენილ ვადებში.

4. სააგენტო სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილებას იღებს:

ა) ამ წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განმცხადებლის მიერ ნაკლოვანებების გამოუსწორებლობის შემთხვევაში;



ბ) ამ წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 7. სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილების შეტანა

1. სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილების შეტანა ნიშნავს მოქმედი სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის სააგენტოსათვის უკან დაბრუნებას და ამ მუხლის შესაბამისად ახალი სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის გაცემას, მასში/მათში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

2. სერტიფიკატის მფლობელი ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართავს სააგენტოს წერილობითი განცხადებით (დანართი №1), რომელშიც აღინიშნება საწარმოს სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილებ(ებ)ის შეტანის მიზეზ(ებ)ი. განცხადებას უნდა ერთოდეს სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილებ(ებ)ის შეტანის მიზეზ(ებ)ის დამამტკიცებელი საბუთ(ებ)ი.

3. სააგენტოს შეაქვს სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილებ(ებ)ი, თუ:

ა) შეიცვალა სერტიფიკატის მფლობელის დასახელება ან სამართლებრივი ფორმა;

ბ) შეიცვალა პირობები, რომელთა შესაბამისადაც იყო გაცემული სერტიფიკატი და/ან სერტიფიკატის დანართი;

გ) სერტიფიკატის მფლობელი, კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა საფუძველზე, ითხოვს სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილებების შეტანას.

4. სააგენტო განცხადებას და თანდართულ საბუთებს იხილავს სააგენტოში განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის ვადაში და იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკატში და/ან სერტიფიკატის დანართში ცვლილებ(ებ)ის შეტანის ან ცვლილებ(ებ)-ის შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

5. სააგენტო ახალ სერტიფიკატს და/ან სერტიფიკატის დანართს გასცემს გადაწყვეტილების მიღებიდან 3 (სამი) დღის ვადაში. ძველი სერტიფიკატი და/ან სერტიფიკატის დანართი 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში უბრუნდება სააგენტოს.

მუხლი 8. სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის დუბლიკატის გაცემა

1. სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის დუბლიკატი გაიცემა:

ა) სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის დაკარგვისას;

ბ) სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის დაზიანებისას.

2. სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის დუბლიკატის მისაღებად სერტიფიკატის მფლობელი სააგენტოში წარადგენს განცხადებას დუბლიკატის გაცემის დასაბუთებით. დუბლიკატი გაიცემა სერტიფიკატის მფლობელის განცხადების სააგენტოში რეგისტრაციიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში.

3. სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის დუბლიკატის გაცემისას მას ენიჭება ძველი სერტიფიკატის და/ან სერტიფიკატის დანართის ნომერი, ნომრის გასწვრივ იწერება სიტყვები „დუბლიკატი“ და „Duplicate“.

მუხლი 9. საწარმოს საქმიანობის სფეროს გაფართოება

საწარმოს საქმიანობის სფეროს გაფართოება ხორციელდება ამ საწარმოს მიერ, სერტიფიკატით და/ან სერტიფიკატის დანართით გათვალისწინებული ტმ-ის სახეობების და/ან დასაშვებ სამუშაოთა ნუსხის გარდა სხვა სახეობების/სამუშაოთა ათვისებისას, ამ წესის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 04.03.2020წ.

მუხლი 10. სერტიფიკატის გაუქმება, მისი მოქმედების ვადის შეჩერება, განახლება, სერტიფიკატით და/ან სერტიფიკატის დანართით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა



1. სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების თაობაზე იმ შემთხვევაში, როცა:

ა) სერტიფიკატის მფლობელი არღვევს ამ წესით, „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 დადგენილებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია (შეიძლება გამოწვიოს) საავიაციო მოვლენა;

ბ) კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

2. სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების თაობაზე სააგენტოს გადაწყვეტილება ეგზავნება სერტიფიკატის მფლობელს, რომელშიც დეტალურად უნდა აისახოს სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების მიზეზ(ებ)ი.

3. სერტიფიკატის მოქმედება შეჩერდება იმ დრომდე, ვიდრე არ აღმოფხვრება სერტიფიკატის მოქმედების ვადის შეჩერების მიზეზი, მაგრამ გადაწყვეტილების მიღებიდან არა უმეტეს 3 (სამი) თვით.

4. სერტიფიკატის მოქმედების ვადა განახლდება, თუ აღმოფხვრილ იქნება ის ნაკლოვანებები, რომლებიც გახდა მისი მოქმედების ვადის შეჩერების საფუძველი და სერტიფიკატის მფლობელმა წერილობით აცნობებს სააგენტოს ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრის თაობაზე. ამასთან ერთად, სააგენტო უნდა დარწმუნდეს ამ ნაკლოვანებების გამოსწორებაში.

5. სერტიფიკატის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს:

ა) სერტიფიკატის მოქმედების შეჩერების ვადის გასვლა, თუ ამ ვადის განმავლობაში არ აღმოფხვრა მისი შეჩერების საფუძველი;

ბ) სერტიფიკატის მფლობელის ლიკვიდაცია;

გ) სერტიფიკატის მფლობელის მოთხოვნა;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძველი.

6. სერტიფიკატით და/ან სერტიფიკატის დანართით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვა ხორციელდება:

ა) სერტიფიკატის მფლობელის განცხადების საფუძველზე;

ბ) ამ წესის მე-12 მუხლით განსაზღვრული ზედამხედველობის განხორციელებისას გამოვლენილი ისეთი ნაკლოვანებების არსებობისას, რომლითაც დასტურდება, რომ საწარმოს და სადგურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფაქტობრივი მდგომარეობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სერტიფიკატით და/ან სერტიფიკატის დანართით გათვალისწინებული ტმ-ის სახეობებისა და/ან დასაშვებ სამუშაოთა მთლიანად განხორციელებას.

7. სერტიფიკატის გაუქმების, მისი მოქმედების ვადის შეჩერების, ან სერტიფიკატით და/ან სერტიფიკატის დანართით გათვალისწინებული უფლებების შეზღუდვის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებისთანავე, საწარმო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ დაინტერესებულ პირებს და სამი დღის ვადაში დააბრუნოს სააგენტოში სერტიფიკატი დანართითურთ.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 04.03.2020წ.

მუხლი 11. უცხო ქვეყნის მიერ გაცემული სერტიფიკატის ან მისი ანალოგიური დოკუმენტის აღიარება

1. საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების გეგმური (მწარმოებლის მიერ დამტკიცებული ტექ. მომსახურების პროგრამით გათვალისწინებული) ტექნიკური მომსახურება ხორციელდება უცხო ქვეყნის მიერ სერტიფიცირებული საწარმოს მიერ, თუ ეს სერტიფიკატი, ან ანალოგიური დოკუმენტი (შემდგომ – უცხო სერტიფიკატი) აღიარებულია სააგენტოს მიერ.



2. სააგენტოს მიერ უცხო სერტიფიკატის აღიარებისათვის, იმ საპაერო გადამყვან-გადამზიდველმა, რომელიც ახორციელებს საქართველოს სამოქალაქო საპაერო ხომალდების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული სხ-ის ექსპლუატაციას და რომლის ტმ უნდა განახორციელოს უცხო სერტიფიკატის მფლობელმა, სააგენტოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა წარადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) უცხო სერტიფიკატის მფლობელთან ტმ-ის განხორციელებაზე დადებული ხელშეკრულება ან ასეთის განხორციელების თაობაზე განზრახულობათა ოქმი;

გ) უცხო სერტიფიკატი და ამ სერტიფიკატის მფლობელის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო“.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით წარმოდგენილი საბუთების სააგენტოში განხილვა ხორციელდება ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად, ხოლო უცხო სერტიფიკატის მფლობელის სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება (აღიარება ან აღიარებაზე უარის თქმა) ამ წესის მე-5 და მე-6 მუხლების შესაბამისად.

4. იმ შემთხვევაში, თუ უცხო სერტიფიკატი გაცემულია EASA-ს ან EASA-ს წევრი ქვეყნის მიერ, უცხო სერტიფიკატი ჩაითვლება აღიარებულად ამ წესის მე-5 მუხლით გათვალისწინებული სამუშაო ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმების გარეშე.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში უცხო სერტიფიკატის აღიარებაზე დადებითი დასკვნისას ან ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო გასცემს „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს აღიარების მოწმობას“ (დანართი №15). აღიარებული უცხო სერტიფიკატის მფლობელის გეგმური შემოწმების ვადები განისაზღვრება ამ წესის მე-12 მუხლის შესაბამისად.

6. „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს აღიარების მოწმობა“ (შემდგომ – აღიარების მოწმობა) გაიცემა აღიარებული უცხო სერტიფიკატის მოქმედების ვადის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლით.

მუხლი 12. ზედამხედველობა

1. სერტიფიკატის/აღიარების მოწმობის მფლობელის მიერ ტმ-სთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ზედამხედველობა სერტიფიცირების განუყოფელი ნაწილია და მას, კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ფარგლებში, ახორციელებს სააგენტო.

2. სერტიფიკატის/ აღიარების მოწმობის მფლობელის მიერ ტმ-სთან დაკავშირებული საქმიანობის ზედამხედველობა ითვალისწინებს სერტიფიკატით და/ან მისი დანართით, აგრეთვე აღიარების მოწმობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობის შემოწმებას. შემოწმების სახეს (გეგმური, არაგეგმური) და პერიოდულობას ადგენს სააგენტო. ამ პუნქტით განსაზღვრული შემოწმებისას საქართველოს ტერიტორიის გარეთ გამოიყენება ამ წესის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.

3. გეგმური შემოწმების ჩატარების თაობაზე სერტიფიკატის/აღიარების მოწმობის მფლობელს ეცნობება გეგმური შემოწმების დაწყების თარიღამდე ორი კვირით ადრე.

4. შემოწმების შედეგები აისახება აქტში, რომელსაც იხილავს სააგენტო, შემოწმების დამთავრებიდან ორი კვირის ვადაში. აქტი ინახება საწარმოს სასერტიფიკაციო დოკუმენტებთან ერთად.

მუხლი 13. სტ-ის ექსპლუატაციაზე დაშვება

1. საავიაციო ტექნიკის ტმ-ის შემდეგ მისი საექსპლუატაციო ვარგისობა დოკუმენტურად უნდა დადასტურდეს „საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე დაშვების სერტიფიკატით“ ან ანალოგიური დოკუმენტით.

2. „საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე დაშვების სერტიფიკატი“ ან ანალოგიური დოკუმენტი უნდა შეიცავდეს მონაცემებს შესრულებულ სამუშაოზე და ამ სამუშაოების შესაბამისობაზე



კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან, აგრეთვე სამუშაოების დაწყების და დასრულების თარიღს და დროს. „საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე დაშვების სერტიფიკატს“ ან ანალოგიური დოკუმენტს ხელს აწერს ამ სამუშაოების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირი. ამ მუხლით გათვალისწინებული „საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე დაშვების სერტიფიკატის“ ფორმას ადგენს საწარმო და იგი წინასწარ შეთანხმებული უნდა იყოს სააგენტოსთან („საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე დაშვების სერტიფიკატის“ ფორმა განსაზღვრულია დანართში №17).

მუხლი 14. ტმ-ის სამუშაოების აღრიცხვა

სერტიფიკატის მფლობელის მიერ განხორციელებული ტმ-ის სამუშაოების:

ა) აღრიცხვის წესი და პირობები ასახული უნდა იყოს საწარმოს (სტრუქტურული ერთეულის) ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში;

ბ) აღრიცხვის საბუთები ინახება საწარმოში „ტექნიკური რეგლამენტის „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების წესის“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №53 დადგენილებით განსაზღვრული ვადების განმავლობაში.

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 04.03.2020წ.

მუხლი 15. ანგარიში ფრენის უსაფრთხოების შესახებ

1. სერტიფიცირებული საწარმო უნდა უზრუნველყოფდეს სააგენტოს დაუყოვნებლივ ინფორმირებას საჰაერო ხომალდის და მისი კომპონენტების ისეთ უწყისივრობაზე, რომელიც:

ა) გამოწვეულია საავიაციო მოვლენით ან შეიძლება გამოიწვიოს იგი;

ბ) ფრენის უსაფრთხოებისათვის საშიშროების გამომწვევია.

2. შეტყობინება უნდა შეიცავდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულის შესახებ სრულ ინფორმაციას.

3. სერტიფიცირებული საწარმო უნდა უზრუნველყოფდეს მისი კონტრაქტორი სხვა საწარმოების, ასევე საავიაციო ტექნიკის დამამზადებლის და შემმუშავებლის ინფორმირებას ფრენის უსაფრთხოებისათვის საშიშ ყველა შემთხვევაზე, ამ შემთხვევის გამოვლენიდან სამი დღის ვადაში.

მუხლი 16. საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო

1. საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო, რომელიც გამოიყენება საწარმოს მიერ ტმ-ის სამუშაოების შესასრულებლად, წინასწარ თანხმდება სააგენტოსთან და შემდეგ მტკიცდება საწარმოს ხელმძღვანელის მიერ. მასში ასახული უნდა იყოს:

ა) საწარმოს მართვის ორგანიზაცია;

ა.ა) საწარმოს ხელმძღვანელ პირთა შემადგენლობა;

ა.ბ) საწარმოს ხელმძღვანელ პირთა შორის უფლებებისა და მოვალეობების განაწილება;

ა.გ) საწარმოს მართვის სქემა/სტრუქტურა;

ა.დ) სერტიფიცირებულ პირთა სია;

ა.ე) საავიაციო პერსონალის და სპეციალისტების შემადგენლობა (საინჟინრო-ტექნიკური და მუშა შემადგენლობა);

ა.ვ) საწარმოო სიმძლავრეების აღწერა;

ა.ზ) ტმ-ის სამუშაოების დაგეგმილი მოცულობები;

ა.თ) ტმ-ის ორგანიზებაში ცვლილებების შესახებ სააგენტოს შეტყობინების პროცედურები;

ა.ი) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში ცვლილებების შეტანის წესი;



ბ) ტმ-ის ორგანიზაცია;

ბ.ა) მაკომპლექტებელი ნაკეთობებისა და სახარჯი მასალების მომწოდებლების შეფასებისა და შერჩევის პროცედურები;

ბ.ბ) პროდუქციის/მარაგ ნაწილების მოწოდების კონტროლის პროცედურები;

ბ.გ) ტმ-ისას გამოსაყენებელი საავიაციო ტექნიკის შენახვა, მარკირება, მათი ექსპლუატაციისათვის ვარგისობის დოკუმენტალური გაფორმება, გაცემა;

ბ.დ) საავიაციო ტექნიკის ტმ-ის საშუალებების მიღება და კონტროლი, მარკირება;

ბ.ე) ტმ-ისას გამოყენებადი ინსტრუმენტებისა და აღჭურვილობის (ინსტრუმენტის ალტერნატიული სახეობების ჩათვლით) გამოყენება საავიაციო პერსონალის მიერ;

ბ.ვ) მეტროლოგიური უზრუნველყოფა;

ბ.ზ) ტმ-ისა და რემონტის შესასრულებლად ტექნოლოგიური მითითებები, მათი შესაბამისობა სტ-ის ტიპების მიხედვით საექსპლუატაციო დოკუმენტაციაში საფრენად ვარგისობის შესანარჩუნებელი მოთხოვნებისადმი.

ბ.თ) სარემონტო სამუშაოების სახეები;

ბ.ი) ტმ რეგლამენტის (პროგრამის) შესრულების კონტროლი;

ბ.კ) ფრენის ვარგისობის უზრუნველყოფის და კონტროლის ორგანიზაციის ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი;

ბ.ლ) ფრენის ვარგისობის დირექტივების შესრულების ორგანიზაცია;

ბ.მ) საავიაციო ტექნიკაზე აუცილებელი სამოდიფიკაციო სამუშაოების შესრულების პროცედურები;

ბ.ნ) ტმ-სათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაცია, მათი წარმოება;

ბ.ო) სააღრიცხვო მონაცემების (რესურსები და სხვა) კონტროლი და აღრიცხვა;

ბ.პ) მტყუნებისა და გაუმართაობების მოძებნა და აღმოფხვრა, მათი აღრიცხვა და ანალიზი;

ბ.ჟ) საავიაციო ტექნიკის მომსახურებისა და რემონტის შემდგომ საექსპლუატაციოდ დაშვების პროცედურები;

ბ.რ) სააგენტოსათვის საჰაერო ხომალდების საფრენად ვარგისობაზე ინფორმაციის წარდგენის წესი;

ბ.ს) სააგენტოსათვის საავიაციო ტექნიკის შემმუშავებლისთვის და დამამზადებლებისთვის საავიაციო ტექნიკის მტყუნებისა და გაუმართაობების შესახებ ინფორმაციის წარდგენის წესი;

ბ.ტ) გაუმართავი საავიაციო ტექნიკის საწყობში დაბრუნების წესები;

ბ.უ) მტყუნებული, რესურსგასული და/ან გაუმართავი საავიაციო ტექნიკის სარემონტოდ გაგზავნის წესი;

ბ.ფ) მონაცემთა ბაზის დაცვის კომპიუტერული უზრუნველყოფა;

ბ.ქ) ძირითადი ტიპური ტექნოლოგიური პროცესების ჩამონათვალი, როგორიცაა:

ბ.ქ.ა) ძრავების გაშვება და გამოცდა;



ბ.ქ.ბ) ჰერმოკაბინაში წნევის რეგულირების სისტემის შემოწმება;

ბ.ქ.გ) საჰაერო ხომალდის ბუქსირება;

ბ.ქ.დ) საჰაერო ხომალდის ხმელეთზე (წყალზე) მიმოსვლა;

ბ.ქ.ე) შრომის დაცვა, გარემოს დაცვა და სახანძრო უსაფრთხოება;

გ) ოპერატიული ტმ-ისთვის წაყენებული მოთხოვნები:

გ.ა) საავიაციო ტექნიკის, ნაკეთობის, ინსტრუმენტისა და აღჭურვილობის აღწერა ოპერატიული ტმ-ის დროს;

გ.ბ) ოპერატიული ტმ-ის ტიპური ტექნოლოგიური პროცესები (საჰაერო ხომალდის საწვავით გამართვა, მოყინვის მოცილება და სხვა);

გ.გ) ოპერატიული ტმ-ის დროს მტყუნებების მოძებნა და გამოსწორება. განმეორებითი დეფექტების აღმოფხვრის ორგანიზაცია და კონტროლი.

გ.დ) ოპერატიული ტმ-ის შესახებ საჰაერო ხომალდის საბორტო ჟურნალებში ჩანაწერების გაკეთების წესი;

გ.ე) ოპერატიული ტმ-ის დროს იჯარით აღებული სათადარიგო ნაწილების გამოყენების წესი;

გ.ვ) ოპერატიული ტმ-ის პროცესში დემონტირებული, მტყუნებული ნაწილების საწყობში გაგზავნის წესი;

დ) ტმ ხარისხის კონტროლი:

დ.ა) საწარმოს ხარისხის კონტროლის სისტემის შესახებ საერთო მონაცემები;

დ.ბ) საჰაერო ხომალდისა და მისი სისტემების დეფექტაცია, საჰაერო ხომალდის სისტემების გამართულობის კონტროლი, ერთჯერადი შემოწმებები, საინსპექციო შემოწმებები, ბიულეტენებისა და დაყვანითი სამუშაოების შესრულების კონტროლი;

დ.გ) სარემონტო სამუშაოების შესრულების ხარისხის კონტროლი;

დ.დ) „საავიაციო ტექნიკის ექსპლუატაციაზე დაშვების სერტიფიკატზე“ ხელმოწერის უფლებამოსილი საინჟინრო-ტექნიკური შემადგენლობის მომზადება, კვალიფიკაცია და სამუშაოებზე დაშვება;

დ.ე) ავიაშემწიკოსების მომზადება და სამუშაოზე დაშვება;

დ.ვ) საწარმოს ხარისხის კონტროლის პერსონალი, მათი მომზადება, კვალიფიკაცია და სამუშაოებზე დაშვება;

დ.ზ) საჰაერო ხომალდებისა და მაკომპლექტებული ნაკეთობების ტმ-ის ხარისხის დამოუკიდებელი კონტროლი;

დ.თ) ტმ-ს დროს ტექნიკური მოთხოვნებიდან დაშვებული გადახრების კონტროლი;

დ.ი) სამუშაოების სპეციფიკურ სახეებზე (ურდვევი კონტროლი, შედუღების სამუშაოების ჩატარება, შეკუმშული აირებით სისტემების დატუმბვა და სხვა) დაშვების წესი და შესრულების კონტროლი;

დ.კ) საავიაციო ტექნიკის შემმუშავებლის ან დამამზადებლის ბრიგადის (საქარხნო ბრიგადები, საავტორო დაკვირვების ჯგუფები და ა.შ.) მოქმედებაზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ე) კონტრაქტების გაფორმება;



ე.ა) საწარმოსა და საავიაციო ტექნიკის ექსპლუატანტებს შორის ხელშეკრულების დადების წესი;

ე.ბ) ტმ-ის, ხელშეკრულებებით სამუშაოს შესრულების დროს, საავიაციო ტექნიკის საფრენად ვარგისობის შენარჩუნების დოკუმენტაციის გაფორმების წესი;

ე.გ) ხელშეკრულების შესაბამისად, სხვა სერტიფიცირებული საწარმოების მიერ ტმ-ის შემთხვევაში საჭირო ხომალდის საექსპლუატაციოდ გადაცემის დოკუმენტების გაფორმების წესი;

ვ) საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში დამატებები და ცვლილებები:

ვ.ა) ტიპური ფორმის თანახმად დოკუმენტების გაფორმების მაგალითები;

ვ.ბ) ხელშეკრულების თანახმად ცალკეული სამუშაოების შემსრულებელი სხვა კონტრაქტორი საწარმოების ჩამონათვალი;

ვ.გ) ტმ-ის სადგურების და/ან გარე სადგურების ჩამონათვალი.

2. საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში ცვლილებ(ებ)ისა და/ან დამატებ(ებ)ის შეტანა ხორციელდება საწარმოს ხელმძღვანელის მიერ სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ.

დანართი №1

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

სავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს

განცხადება

გთხოვთ, _____

(მიეთითოს: სერტიფიკატის გაცემა, განახლება, სერტიფიკატში და/ან მის დანართში ცვლილების შეტანა, სერტიფიკატის და/ან მისი დანართის დუბლიკატის გაცემა)

საწარმოს დასახელება _____

საწარმოს იურიდიული მისამართი _____

ძირითადი საწარმოო ბაზის ადგილმდებარეობა _____

საწარმოს სადგურები _____

ტელეფონი _____; ფაქსი _____; ანგარიშსწორების ანგარიში _____

განცხადებას თან ერთვის: _____

(თანდართული საბუთების ზუსტი ჩამონათვალი, გვერდების რაოდენობის მითითებით)



საწარმოს ხელმძღვანელი

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა.

(თარიღი)

დანართი №2

საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების სახეობები და დასაშვებ სამუშაოთა ნუსხა

(საწარმოს დასახელება)

საავიაციო ტექნიკის ტიპები	საქმიანობა			
	ტექნიკური მომსახურება			სამუშაოს სხვა სახეობები
	ოპერატიული ტმ (ფორმა)	პერიოდული ტმ (ფორმა)	ტმ სხვა სახეობები	

დამატებითი სამუშაოები

_____/_____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____ 20 წ.

(თარიღი)



საწარმოს ხელმძღვანელი პერსონალის მონაცემები

(საწარმოს დასახელება)

	თანამდებობა	სახელი, გვარი	დაბადების თარიღი	განათლება	ტმ-სა და რემონტზე მუშაობის სტაჟი	რომელ საავიაციო ტექნიკას ემსახურება/ემსახურებოდა	ტექნიკურ მომსახურებაზე დაშვება სხ-ის ტიპების მიხედვით	შენიშვნა
საწარმოს ხელმძღვანელი								
ტმ-ის ხელმძღვანელი								
ხარისხზე ზედამხედველობის ხელმძღვანელი								

საწარმოს ხელმძღვანელი _____
(ხელმოწერა) (სახელი, გვარი)

ბ.ა. _____
(თარიღი)

საინჟინრო-ტექნიკური პერსონალით საწარმოს დაკომპლექტების მონაცემები

(საწარმოს დასახელება)

	საჭირო რაოდენობა			ფაქტობრივი რაოდენობა		
	ინჟინერი	ტექნიკოსი	დამხმარე პერსონალი	ინჟინერი	ტექნიკოსი	დამხმარე პერსონალი
სამქრო, უბანი, სამსახური, სამუშაოს სახეობა						



ოპერატიული ტმ						
პერიოდული ტმ						
საავიაციო და რადიოელექტრული აღჭურვილობის ლაბორატორია						
დიაგნოსტიკა						
მიმდინარე რემონტი						
ხარისხზე ზედამხედველობა						

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____

(თარიღი)

დანართი №5

ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის მონაცემები

(საწარმოს დასახელება)

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	განათლება	დაბადების თარიღი	მოწმობის ნომერი	კვალიფიკაციის დამადასტურე- ბელი კურსები	მოწმობის მოქმედების ვადა	რომელ სტს ემსახურება	რეიტინ- გი

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____



საწარმოო ბაზის საერთო მონაცემები

(სადგურის/გარე სადგურის ჩათვლით)

(საწარმოს დასახელება)

№	საწარმოო ბაზა	საჭირო რაოდენობა (ზომები)	ფაქტობრივი რაოდენობა (ზომები)	შენიშვნა
1	ანგარი			
2	სადგომი ტექნიკური მომსახურებისათვის			
3	სადგომი ძრავების ასამუშავებლად და მოსასინჯად			
4	სამქროების, ლაბორატორიების, სახელოსნოების საწარმოო ფართობები (კვ.მ)			
5	სასაწყობო შენობები (კვ.მ)			
6	საყოფაცხოვრებო დანიშნულების სათავსები (კვ.მ)			

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____

(თარიღი)

(ამოღებულია)

სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 25 თებერვლის ბრძანება №47 - ვებგვერდი, 04.03.2020წ.

ტექნიკური მომსახურების (რემონტის) განსახორციელებლად გამოყენებადი სახელმძღვანელო დოკუმენტები

(საწარმოს დასახელება)



დოკუმენტის დასახელება	საკონტროლო ეგზემპლარი		მუშა ეგზემპლარი		პასუხისმგებელი
	რაოდენობა	ადგილმდებარეობა	რაოდენობა	ადგილმდებარეობა	

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____

(თარიღი)

დანართი №9

ტექნიკური მომსახურების რეგლამენტების (პროგრამების) ნუსხა

(საწარმოს დასახელება)

(დამამზადებლის, შემმუშავებლის დასახელება)

№	რეგლამენტის / პროგრამის დასახელება	საკონტროლო ეგზემპლარი		სამუშაო ეგზემპლარი		პასუხისმგებელი, რეგლამენტის (პროგრამის) გამომცემელი
		რაოდენობა	ადგილმდებარეობა	რაოდენობა	ადგილმდებარეობა	
1						



2						
3						
4						

საწარმოს ხელმძღვანელი _____ / _____ /

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____ 200 წ.

(თარიღი)

დანართი №10

საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების ტექნოლოგიური პროცესის დაგეგმვის უზრუნველყოფა

(საწარმოს დასახელება)

№	ინფორმაციის დასახელება შინაარსი	ინფორმაციის წყარო	შენიშვნა
1	ტექნიკურ მომსახურებაზე (ტმ) საჰაერო ხომალდის (სხ), საავიაციო ტექნიკის (სტ) ნაწარმის მოწოდების დაგეგმვა		
2	ტმ-ზე დასაყენებელი სხ-ის (სტ-ის ნაწარმის) რესურსი		
3	ტმ-ის საბუთები და სხ-ის (სტ-ის ნაწარმის) ტექნიკურ მდგომარეობაზე დაგროვილი მონაცემები		
4	სტ-ის ტმ-ის, (მიმდინარე რემონტის), აგრეგატების შეცვლისა და დაყვანილი სამუშაოების მოცულობების წინასწარი შეფასება		
5	ტექნიკური მომსახურების ბრიგადის შემადგენლობა, მისი საკმარისობის (გაანგარიშებულ მინიმუმთან შესაბამისობის) წინასწარი შეფასება, ტმ-ზე მათი დაშვების ვადები		
6	ტმ-ის საშუალებებისა და ლაბორატორიების აღჭურვილობის მომზადება		
7	სათადარიგო ნაწილების, მაკომპლექტებული ნაკეთობების, სახარჯი მასალების მომზადება		
8	საწარმოო საბუთების (განწესების, წუნდების უწყისების, საოპერაციო უწყისებისა და სხვა) მომზადება		

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)



ბ.ა. _____

(თარიღი)

დანართი №11

სავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურებისთვის გამოყენებული ტექნიკური მომსახურების საშუალებების ჩამონათვალი

(საწარმოს დასახელება)

№	დასახელება	საჭირო რ-ბა	უზრუნველყოფა		შემოწმება	
			საკუთარი	იჯარა	თარიღი	მოქმედების ვადა
1						
2						
3						
4						
5						

საწარმოს ხელმძღვანელი _____

(ხელმოწერა)

(სახელი, გვარი)

ბ.ა. _____

(თარიღი)

დანართი №12



საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს

ს ე რ ტ ი ფ ი კ ა ტ ი

№

**CERTIFICATE
OF APPROVED MAINTENANCE ORGANIZATION**

გადაცემას და გაყიდვას არ ექვემდებარება

This Certificate is not to be transferred or sold to any other operator

ამით დასტურდება, რომ _____ ტექნიკური მომსახურების საწარმო შეესაბამება სამოქალაქო ავიაციის მესახეზ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და მას უძლევა უფლება აწარმოოს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურება წინამდებარე მოწმობის დანართის შესაბამისად.
მოწმობა მოქმედებს მხოლოდ დანართთან ერთად. სადაც მითითებულია საავიაციო ტექნიკის ტიპები და მომსახურების სახეები.

This is to certify that _____ Maintenance Organization meets the requirements of the legislation of Georgia about Civil Aviation and is empowered to maintain the civil aeronautical products, listed in the attached Appendix.

This Certificate is valid only together with the Appendix to this Certificate containing specification of maintenance procedures of the associated aeronautical products

მოწმობის მოქმედების ვადა: _____ 20__

CERTIFICATE IS VALID TILL:

ამოქმედების თარიღი: _____ 20__

Effective date:

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Civil Aviation Agency

დანართი №13



საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების

საწარმოს № _____ სერტიფიკატის

დ ა ნ ა რ თ ი

**APPENDIX ON CERTIFICATE №
OF APPROVED MAINTENANCE ORGANIZATION**

ნებადართული სამუშაოები

APPROVAL SCHEDULE

საავიაციო ტექნიკის CLASS	კატეგორია RATING	ნებადართული სამუშაოები LIMITATION	რეგულარული ტექნიკური მომსახურება Line Maintenance	პერიოდული ტექნიკური მომსახურება Base Maintenance
ბომბდენი	A1 საპატერო ბომბდენები 5700 კგ-ზე მეტი	განსაზღვრება საპატერო ბომბდენების ტიპი	X	X
	A2 საპატერო ბომბდენები	განსაზღვრება საპატერო	X	X



საჰაერო Aircraft	5700 კგ-ზე მსუბუქები	განისაზღვრება ტიპი		
	A3 შვეულმფრენები	განისაზღვრება საჰაერო ხომალდების ტიპი	X	X
ძრავები Engines	B1 რეაქტიული	განისაზღვრება ძრავის ტიპი		
	B2 შიგაწევის	განისაზღვრება ძრავის ტიპი		
	B3 დამხმარე ძალური დანადგარი	განისაზღვრება ძრავის ტიპი		

მაკონსულტაციური (ძრავებისა და დამხმარე ძალური დანადგარების გარდა)

C1 პერსონალის კონფიგურებისა და წესების რეგულირების სისტემა
C2 ავტოპილოტი
C3 სანავიგაციო და კავშირგაბმულობის სისტემები
C4 კარები და ლუქები
C5 ენერგეტიკა
C6 საყოფაცხოვრებო აღჭურვილობა
C7 ძრავის და დამხმარე ძალური დანადგარის სისტემები
C8 ფრენის მართვის სისტემა
C9 საწვავის – სისტემა (მლარეის)
C10 შვეულმფრენების მზიდი ხრახნები
C11 შვეულმფრენების ტრანსმისია
C12 ჰიდრაულიკური სისტემა
C13 ხელსაწყო მოწყობილობა
C14 მასი
C15 კარგადის სისტემა
C16 საჰაერო ხრახნები
C17 შევსვის სისტემა
C18 ზემოყინვის საწინააღმდეგო და ხანძარსა წინააღმდეგო სისტემები
C19 ევიაგის ვაზინის ფანარი და ოლქმონატორები
C20 პლანერის კონსტრუქცია

განისაზღვრება საჰაერო
ხომალდების ტიპი და ან
კონსტრუქციის
მაკონსულტაციური
დამხმარე ძალური და
ხეხადართული საშუალებები



სპეციალიზირებული
მომსახურება

DI - ურღვევი
კონტროლი

განსაზღვრება კონკრეტული
ტექნიკური მომსახურება

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Civil Aviation Agency

ბ.ა.

გაცემის თარიღი



1. „კატეგორია A“ ნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ საწარმოს შეუძლია შეასრულოს საჰაერო ხომალდის (შემდგომ – სხ) ან სხ-ის სისტემების ტექნიკური მომსახურება (ტმ) მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სისტემები დამონტაჟებულია სხ-ზე (იმ სისტემების გამოკლებით, რომლებიც შესაძლებელია დროებით მოხსნილი იყოს ტმ-ის ჩატარების გაადვილების მიზნით).
 2. „კატეგორია A“ იყოფა პერიოდულ და ოპერატიულ ტექნიკურ მომსახურებად. სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ საწარმოს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ პერიოდული ტმ-ის ან ოპერატიული ტმ-ის შესრულება ან ერთდროულად ორივე სახის ტმ-ის.
 3. „კატეგორია B“ ნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ საწარმოს შეუძლია შეასრულოს მოხსნილი ძრავების, დამხმარე ძალური დანადგარების, ძრავის კომპონენტების და სხვა აგრეგატების ტმ, იმ კომპონენტების გამოკლებით, რომლებიც შესაძლებელია დროებით მოხსნილი იყოს სხ-დან ამ სხ-ის ტმ-ის ჩატარების გაადვილების მიზნით. „კატეგორია B“-ს მქონე საწარმოს უფლება აქვს ჩაატაროს პერიოდული და/ან ოპერატიული ტექნიკური მომსახურება სხ-ზე დამონტაჟებულ ძრავებზე.
 4. „კატეგორია C“ ნიშნავს, რომ სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ საწარმოს შეუძლია შეასრულოს სხ-დან მოხსნილი კომპონენტების (ძრავების, დამხმარე ძალური დანადგარების გამოკლებით) ტექნიკური მომსახურება. აღნიშნულის გარდა „კატეგორია C“-ს მქონე საწარმოს შეუძლია შეასრულოს ტექნიკური მომსახურება საჰაერო ხომალდზე, ძრავებზე და დამხმარე ძალურ დანადგარებზე დამონტაჟებულ კომპონენტებზე სხ-ის პერიოდული და ოპერატიული ტექნიკური მომსახურების დროს, ან იგივე კომპონენტებზე საკონტროლო პროცედურების ჩატარების დროს, როგორც მითითებულია „საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელოში“.
- „კატეგორია D“ ნიშნავს, რომ ამ კატეგორიის მქონე საწარმო შესაძლოა არ ახორციელებდეს საჰაერო ხომალდის, ძრავების, დამხმარე ძალური დანადგარების და სხვა აგრეგატების ტმ-ს. „კატეგორია D-1“ – ურღვევი კონტროლი – აუცილებელია სააგენტოს მიერ სერტიფიცირებულ იმ საწარმოსათვის, რომელიც ასრულებს ურღვევი კონტროლის ამოცანებს სხვა ორგანიზაციისათვის. A, B, C კატეგორიების მქონე საწარმოებს შეუძლია შეასრულოს ურღვევი კონტროლის პროცედურები მისთვის განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, საკუთარი საწარმოებისათვის „კატეგორია D-1“-ის შეფასების გარეშე.

დანართი №15

საქართველო
GEORGIA

საავიაციო სამართლის იურიდიული ძირი
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
CIVIL AVIATION AGENCY

**საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს
აღიარების მოწმობა**
CERTIFICATE OF VALIDATION OF MAINTENANCE ORGANIZATION
№

გადაცემას და გაყიდვას არ ექვემდებარება
This Certificate is not to be transferred or sold to any other operator

ამით დასტურდება, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტო აღიარებს საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს სერტიფიკატს № _____ გაცემულს _____ მიერ _____ წ. და ამ დოკუმენტის მფლობელს _____-ს აქვს უფლება, აღნიშნული სერტიფიკატით მინიჭებული უფლებების ფარგლებში, შეასრულოს საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ხომალდების სახელმძღვანელო რეესტრში რეგისტრირებული საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება.

This is to certify, that the Civil Aviation Agency of Georgia recognizes the CERTIFICATE OF APPROVED MAINTENANCE ORGANIZATION № _____ issued on _____ by _____ and the "_____" is hereby authorized to carry out the maintenance of the aircraft, registered in the Georgian civil aircraft State register, with the limitation of the granted rights according to this certificate.

მოწმობის მოქმედების ვადა: _____



CERTIFICATE IS VALID TILL: _____

შემოწმების გაცემის თარიღი: _____

Date of issue: _____

სამოქალაქო ავიაციის სააგენტო
Civil Aviation Agency

სტამპი/სიგნატურა

დანართი №16

„ვამტკიცებ“

სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს

უფლებამოსილი პირი _____

საავიაციო ტექნიკის ტექნიკური მომსახურების საწარმოს

„ადგილზე ფაქტობრივი მდგომარეობის შემოწმების პროგრამა“

შემოწმების თარიღი _____

საწარმოს დასახელება _____

საწარმოს სერტიფიკატის № _____

მოქმედების ვადა _____

შესამოწმებელი ობიექტის ადგილმდებარეობა _____

შემმოწმებელი	
გვარი, სახელი	
შემოწმება ჩატარებულია საქართველოს კანონმდებლობის და იკაო-ს გამოცემა Doc 9760/AN967 შესაბამისად.	

შეფასება



№	შემოწმების ობიექტი	1	2	3	4	შენიშვნა
1	საწარმოს სტრუქტურა					
2	მართვის ორგანიზაცია					
3	პერსონალი:					
ა)	კვალიფიკაცია;					
ბ)	რაოდენობის შესაბამისობა სამუშაოს მოცულობასთან;					
გ)	მონაცემების რეგისტრაცია;					
დ)	სწავლება და სამუშაოდ დაშვების პროცედურები;					
ე)	თანამდებობრივი ინსტრუქციები;					
ვ)	საყოფაცხოვრებო პირობები;					
ზ)	ხელფასით უზრუნველყოფა;					
4	საინფორმაციო უზრუნველყოფა:					
ა)	სახელმძღვანელო დოკუმენტები, მათი სრულყოფილება, კომპლექტები, გამოყენება, ცვლილებების შეტანა, შესწავლა;					
ბ)	საწარმოო დოკუმენტაცია, მათი გაფორმება, დამუშავების და შენახვის პირობები;					
გ)	ტექნიკური მომსახურების სახელმძღვანელო;					
5	საწარმოო ფართი და აღჭურვილობა:					
ა)	ანგარი					
ბ)	სადგომები ოპერატიული ტმ-ის;					
გ)	სადგომები პერიოდული ტმ-ის;					
დ)	სახელოსნოები;					
ე)	საავიაციო და რადიოელექტრული აღჭურვილობის ლაბორატორია;					
ვ)	აკუმულატორების დამუხტვა;					
ზ)	ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა;					
6	სასაწყობო მეურნეობა:					



ა)	ფართით უზრუნველყოფა;					
ბ)	პირობების (ტემპერატურის, ტენიანობის) დაცვა;					
გ)	სათადარიგო და გაუმართავი ნაწილების და აგრეგატების შენახვის პირობები;					
დ)	შეუთავსებადი მასალების შენახვის პირობები;					
ე)	ხანძარსაწინააღმდეგო უზრუნველყოფა;					
7	ინსტრუმენტი და მოწყობილობები:					
ა)	საერთო რაოდენობა სამუშაოების მიხედვით;					
ბ)	დაკალიბრების (შემოწმების) ვადების დაცვა და დამადასტურებელი დოკუმენტაცია;					
გ)	აღრიცხვა, მარკირება და მოძრაობის რეგისტრაცია;					
8	საჭირო მასალები:					
ა)	საპოხი მასალები;					
ბ)	ჰიდრავლიკური სისტემისათვის საჭირო სითხე;					
გ)	შემოყინვის საწინააღმდეგო სითხე;					
დ)	ჟანგბადი;					
ე)	აზოტი;					
ვ)	დაჭირხული ჰაერი.					

შენიშვნა: შეფასების გრაფის შედეგები: 1 – შენიშვნის გარეშე; 2 – მისაღებია; 3 – მისაღებია, მაგრამ საჭიროებს გაუმჯობესებას; 4 – არ არის მისაღები.

შემმოწმებელი _____ / _____ /
 _____ / _____ /
 _____ / _____ /

საწარმოს

წარმომადგენელი _____ / _____ /



(საწარმოს დასახელება, Maintenance Organization) (მისამართი, Address) სერტიფიკატი CERTIFICATE of MO № _____	ექსპლუატაციაში დაშვების სერტიფიკატი CERTIFICATE OF RELEASE TO SERVICE № _____
საჰაერო ხომალდის მონაცემები Aircraft identification დამამზადებელი ტიპი: Manufacturer: --- Model --- საქარხნო ნომერი: სახელმწიფო და სარეგისტრაციო ნიშანი Serial Number --- National & Registration marks --- ნამუშევარი: ექსპლუატაციის დაწყებიდან / ბოლო რემონტის შემდეგ: დაფრენები: ექსპლუატაციის დაწყებიდან / ბოლო რემონტის შემდეგ: Total flight hours --- Total cycle ---	
მონაცემები პრავეზზე და დამხმარე ძალურ დანადგარზე (დძდ) Engine and APU identification 1 2 3 4 <u>დძდ</u> APU <u>დამამზადებელი</u> ----- Manufacturer: <u>ტიპი:</u> ----- Model საქარხნო ნომერი: -----	



Serial Number

ნამუშევარი ექსპლუატაციის

დაწყებიდან / ბოლო

რემონტის შემდეგ: - - - - -

Total flight hours

გაშვებათა რაოდენობა: - - - - -

Total cycle

საჰაერო ხომალდის

ექსპლუატანტი: დასახელება:

Operator Name - - - - -

მისამართი:

Addres - - - - -

სამუშაოების შესრულება:

Work performed

ტმ-ის ხელშეკრულება № სამუშაოების დაწყება:

Service Order No - - - - - Start date - - - - -

სამუშაოების სახეობები: სამუშაოების დასრულება

Check type - - - - - End date - - - - -

იხილე შესრულებული სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი ფურცელზე

See detailed of work performed of Work Summary Sheet attached pages

დაუმთავრებელი ტმ / დამთავრების ვადა

Incomplete maintenance/ authorization - - - -

შენიშვნები:

Remarks

ძრავი და პლანერი (Airframe and Powerplant)

ავიონიკა (Avionics)

უფლებამოსილი პირი:

უფლებამოსილი პირი:

Authorised personal - - - - -

Authorised personal - - - - -

ხარისხზე პასუხისმგებელი:

ხარისხზე პასუხისმგებელი:

Inspector - - - - -

Inspector - - - - -



მე ვადასტურებ, რომ ამ სერტიფიკატით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულია საქართველოს
კანონმდებლობის შესაბამისად და საჰაერო ხომალდი ვარგისია საექსპლუატაციოდ.

I certify that the work specified above was carried out in accordance with regulations and in respect to that work the aircraft
is considered ready for release to service.

გვარი/Name ————— ბ. ა. —————

ხელმოწერა/Signature თარიღი/Data

